# კონფლიქტების რეგულირების საკითხი ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში

სოფო ხერხეულიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა, კავკასიისკვლევები, საბჭოთაკვლევები, პოლიტიკისანთროპოლოგია)

მიმართულება: საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სრული პროფესორი დავით დარჩიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

# სარჩევი

აბსტრაქტი............................................................................................................................2

შესავალი.......................................................................................Error! Bookmark not defined.

მეთოდოლოგია ...............................................................................Error! Bookmark not defined.

გამოყენებული ლიტერატურა.................................................Error! Bookmark not defined.

თავი პირველი ...............................................................................Error! Bookmark not defined.

1.1 ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირების ისტორია ..........................................................................................Error! Bookmark not defined.

თავი მეორე ...................................................................................Error! Bookmark not defined.

2.1 დღეს არსებული ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის მექანიზმები...........................................................................Error! Bookmark not defined.

თავი მესამე ...................................................................................Error! Bookmark not defined.

3.1 ევროკავშირის თავდაცვა-უსაფრთხოების პოლიტიკა პრაქტიკაში-სამეზობლო პოლიტიკაში კონფლიქტების რეგულირების მიმართულებით .....Error! Bookmark not defined.

დასკვნა .........................................................................................Error! Bookmark not defined.

გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი/ბიბლიოგრაფია ........Error! Bookmark not defined.

## აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი იკვლევს “კონფლიქტების რეგულირების საკითხს, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში“. ნაშრომის მიზანია, - განისაზღვროს ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთოხების პოლიტიკა და მისი მნიშვნელობა სამეზობლო პოლიტიკაში კონფლიქტების დარეგულირების მიმართულებით.

სამაგისტრო კვლევის თემად ზემო აღნიშნული საკითხი იქიდან გამომდინარე ავირჩიე, რომ მნიშვნელოვანი იყო წარმომეჩინა თუ რატომ გაერთიანდნენ და ერთიანდებიან ქვეყნები ევროკავშირში და არის თუ არა იგი სტაბილურობისა და უსაფრთხოების ერთგვარი შესაძლებლობა, როგორც გაერთიანებულ ქვეყნებს შორის, ასევე მის სამეზობლო პოლიტიკაში. სამაგისტრო ნაშრომში ასევე ასახულია ის მიღწევები და პრობლემები, რომლებსაც აღნიშნული გაერთიანება სამეზობლო პოლიტიკაში აწყდება.

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია კონფლიქტების გადაწყვეტის სფეროში ევროკავშირის ინსტრუმენტების თეორიული განხილვა, ასევე ევროკავშირის მიერ განხორციელებული მისიების მიმოხილვა, იგულისხმება: სამოქალაქო მისიები, სამხედრო ოპერაციები და სამხედრო სამოქალაქო მოქმედებები, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ევროკავშირის როლი და მანდატი კონფლიქტების დარეგულირების მიმართულებით, ვინაიდან კონკრეტულად ეს საკითხი არის სამაგისტრო ნაშრომის მთავარი მიზანი.

მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის, მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე შევეცდები წარმოგიდგინოთ კონფლიქტების რეგულირების საკითხი ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში და მისი მნიშვნელოვანი ასპექტები.